5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობიდან წარმოადგენს გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსი გიორგი ფიჩხულაშვილი.

6. საქონლის მიწოდების ვადა

6.1. საქონლის მიწოდები ვადა არაუგვიანეს 2019 წლის 28 იანვარი;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1, ისნის რაიონის გამგეობა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სახალმართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე. მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 28 თებერვლისა.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

_____ კ. ლაბუჩიძე

მიმწოდებელი:

შპს „ინტერპრინტჯორჯია"
მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ.№35/37
სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE92 BG00 0000 0233 2956 00

კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 205 232 639

დირექტორი

_____ ... ურუშაძე

INTERPRINT GEORGIA LTD IPG 205232639

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.01.17 16:47:14 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/011

ქ.თბილისი

17 იანვარი 2019 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის კახაბერი დაბუნიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ინტერპრინტჯორჯია" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ურუშაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი" -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1 ხელშეკრულების საგანია გამგეობის სამხედრო განყოფილებისათვის ნაბეჭდი მასალის შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი, ლარი	ჯამი, ლარი
1	400 ფურცლიანი ანბანური ჟურნალი	1 ცალი	85	85
2	წვევამდელის სამხედრო-საალრიცხვო მოწმობა	500 ცალი	0.76	380
3	სამხედრო ნამსახურობის ბარათი	500 ცალი	0.64	320
4	რეზერვისტის დროებითი მოწმობა	500 ცალი	0.62	310
	სულ:			1095

2.2.CPV კოდი 22458000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1095 (ათას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საფინანსო დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.